ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:№87. 8723188001
თარიღი:07/07/2023

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი № 8

ქ. ახმეტა. 5 ივლისი, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.მამუჩარაშვილი,

ე.ბაღაკაშვილი,ზ.ფიცხელაური, გ.ონიაშვილი,

დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, ლ. მუთოშვილი,

ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი,

გ.უძილაური, გ.შორთიშვილი,კ.მუხაური,

ლ.ჭიჭიკოშვილი,ე.მარკოზაშვილი,

შ.ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12 ^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 777 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 17572კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.378 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 8987კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.376 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტებს.

სხდომას ესწრება 27 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 18
მონაწილეობა არ მიიღო 9 - თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების ასახვა და დამტკიცება.

შემოსულობები: 1."საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით დამატებით გამოიყო 9,0 ათასი ლარი.

2. 2022 წლის 22 დეკემბრის N62 დადგენილებით გამოიყო 3,6 ათასი ლარი.

3. 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 137,4 ათასი ლარი,.

4. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულებით შეგვიმცირდა 18,9 ათასი ლარით.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან შემოსავლები გაიზარდა 131,1 ათასი ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტით შემოსულობების ოდენობა გაიზარდა 178,0 ათასი ლარით.

-ბანკის პროცენტიდან შემოსავალი გაიზარდა 115,0 ათასი ლარით

- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა გაიზარდა 20,0 ათასი ლარით

- სანქცია საურავებიდან შემოსავლის ოდენობა გაიზარდა 23,0 ათასი ლარით

- არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობა გაიზარდა 20,0 ათასი ლარით

სულ შემოსულობების ზრდა განხორციელდა 309,1 ათასი ლარით

საგასავლო ნაწილი:

1. "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 37,9 ათასი ლარი, სკოლამდელი განათლების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდა 28,9 ათასი ლარით.

ცვლილებები შეეხო შემდეგი ობიექტების რეაბილიტაციას: 1. ქ.ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე 60 ბინიანი კორპუსის ეზოს რეაბილიტაციისთვის გამოიყო 59,9 ათასი ლარი. 2. შემცირდა სოფელ ახშნის ველებში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 17,7 ათ ლარით. 3. შემცირდა სოფ.ოჟიოს საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 5,7 ათ ლარით. 4. შემცირდა სოფ.მატანის N1 საბავშვობაღის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია 23,2 ათ ლარით. 5. შემცირდა ქ.ახმეტაში რუსთაველის ქ.სტადიონთან მრავალბინიანი კორპუსების ეზოს რეაბილიტაცია 4,3 ლარით.

სულ აღნიშნული განკარგულების ცვლილების შედეგად გამოყოფილი თანხის ოდენობამ შეადგინა 9,0 ათასი

ლარი.

2. 2022 წლის 22 დეკემბრის N62 დადგენილებით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის,შიდა ელ-გაყვანილობის ქსელის,შიდა კოსმეტიკური სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (თანმდევი ექსპერტირებით)ხარჯებისათვის გამოიყო 3,6 ათასი ლარი.

3. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ,, 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით ერთი ერთეული სამგზავრო ავტობუსის შესაძენად მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 137,4 ათასი ლარი.მიმდინარე წელს მოხდება ავტობუსის ღირებულების 40 % ის გადარიცხვა,ხოლო 2024-2025 წლებში 30-30%-ის გადარიცხვა

4.საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულებაში შესული ცვლილების შესაბამისად სოფელ ომალოს (თუშეთში) წყალმომარაგების სათავისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების ღირებულება შემცირდა18,9 ათასი ლარით

ხარჯვითი ნაწილის შიდა პარამეტრების ცვლილების შედეგად განხორციელდა

ზრდა:

1. მერიის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 15,3 ათასი ლარით(მშ. კომპ. ტექნიკა,საზედამხ და ელ.ენერგიის დაერთების ხარჯი)
2. გზის ხარჯებს დაემატა 301,5 ათასი ლარი. მშ.
   ა)ტბათანასთან მისასვლელი გზა 15,0 ათასი ლარი,
   ბ) ხორბალოში მისასვლელი გზის ხარჯი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით(გახდა 400,0 ათასი ლარი)
   გ) საზედამხედველო ხარჯი გაიზარდა 44,6 ათასი ლარით(გასულ წელს გაწეული ხარჯის შესახებ ინფორმაცია დაგვიანებით წარმოადგინა საზედამხედველო კომპანიამ)
   დ) მთავრობის განკარგულებებით დასაფინანსებელი ობიექტების თანადაფინანსება 41,3 ათასი ლარით
   ე)საპროექტო დოკუმენტაცია 0,5 და თამარის ქუჩის კორპუსების ეზოს მოწყობა 0,1ათასი ლარი
3. სასმელი წყლის სისტემების კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 73,0 ათასი ლარით.მშ.
   -სოფელ ხადორში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის კაპიტ ხარჯი გაიზარდა 22,5 ათასი ლარით, -სოფელ ქისტაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 22,0 ათასი ლარი.-სასმელი წყლის სათავე ნაგებობებზე საქლორატოროების მოწყობას დაემატა 1,0 ათასი ლარი და გახდა 41,0 ათასი ლარი. (აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებული იქნება დუისის საქლორატოროს ხარჯი 19,0 ათასი ლარი და ქისტაურის საქლორატორს ხარჯი 22,0 ათასი ლარი), -საზედამხედველო და საპროექტო ხარჯებისათვის დაემატა 27.5 ათასი ლარი.
4. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის ხარჯი გაიზარდა 6,7 ათასი ლარით(საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი)
5. სოფლის პროგრამის თანადაფინანსება გაიზარდა 50,0 ათასი ლარით.
6. ტურისტული ინფრასტრუქტურის ხარჯები გაიზარდა 123,7 ათასი ლარით

   მშ.ა)ციხე-ქალაქ კვეტერას ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობი ხარჯების თანადაფინანსება გაიზარდა 123,7 ათასი ლარით.

7. სანიაღვრე არხების მოწყობის ხარჯები გაიზარდა 40,0 ათასი ლარით.სოფელ მატანში რკინაბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 25,0 ათასი ლარით,ქ. ახმეტაში რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის კაპიტალური ხარჯები

გაიზარდა 15,0 ათასი ლარით

8. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაობზე გამოყოფილი ხარჯები გაიზარდა 47,8 ათასი ლარით მ.შ. ა) მდინარე ალაზანზე ზღუდარების მოწყობის სამუშაობის თანადაფინანსება გაიზარდა 34,1 ათასი ლარით,საზედამხედველო ხარჯები გაიზარდა 13,7 ათასი ლარით.

9. მერიის საბავშვო ბაღების არაფინანსური გაიზარდა 90,9 ათასი ლარით.მშ თანადაფინანსების ხარჯი გაიზარდა 53,0 ათასი ლარით,ზედამხედველობის ხარჯები გაიზარდა 16,4 ათასი ლარით,სოფელ არგოხის საბავSვო ბაღის რეაბილიტაციას დაემატა 7,5 ათასი ლარი,,კოღოთოს ბაღის სველი წერტილების რეაბილიტაციის ხარჯი გაიზარდა 13,0 ათასი ლარით.ბირკიანის ს.ბაღის რებილიტაციის ხარჯი გაიზარდა 1,0 ათასი ლარით

10. სპორტის კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 80,1 ათასი ლარით, მ.შ სოფელ მატანში მინი სპორტული მოედნის მოწყობის ხარჯი გაიზარდა 60,0 ათასი ლარით და გახდა 180,0 ათასი ლარი,საზედამხედველო ხარჯი გაიზარდა 20,1 ათასი ლარით.

11. ჯანდაცვის ობიექტების შეკეთების ხარჯები გაიზარდა 128,0 ათასი ლარით მ.შ. ა) ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოფისში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგემლად,სველი წერტილების მოწყობისა და ოფისის რემონტისათვის 46,5 ათასი ლარი.საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა იქნება 9,1 ათას ლარი,ხოლო მიზნობრივი (დელეგირებული)გრანტის ოდენობა 37,4 ათასი ლარი. ბ) შშმ პირთა ცენტრის მოწყობის მიზნით ყოფილი ინტერნატის შენობის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 81,5 ათასი ლარი.

12. ააიპ თუშეთის ლანდშაფტის ხარჯები სუბსიდიის ნაწილში გაიზარდა 12,4 ათასი ლარით((ერთი რეინჯერის ხელფასი და ტრქტორისტის ხელფასის მატება)

13. ააიპ კეთილმოწყობის ხარჯები გაიზარდა 29,8 ათასი ლარით.მშ.სუბსიდია -27,6 ათასი ლარი(ახალი მანქანების მძღოლის და სამი მუშის ხელფასი) და კაპიტალური 2,2 ათასი ლარი

14. ააიპ ტყეპარკების სუბსიდია გაიზარდა 7,2 ათასი ლარით(მძღოლის და მუშის ხელფასი)

15. მერიის სპორტღონისძიებების სუბსიდია გაიზარდა 3,9 ათასი ლარით

სულ ზრდა 1010,3 ათასი ლარი

კლება:

1. საკრებულოს კაპიტალური -3,1

2. მერია:მერიის კაპიტალური ხარჯები შემცირდა 73,1 ათასი ლარით

სცენის მოწყობის ხარჯები შემცირად 20,0 ათასი ლარით

- ყოფილი პოლიციის შენობის ხარჯი -3,4 ათ ლარი

- სახლოვნებო დარბაზის რამონტის ხარჯი -3,3

-დუისის ადმინისტრაციული შენობი რეაბილიტ ხარჯი -30,0

- ახმეტის მერიის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოების ხარჯი -13,5 ათასი ლარით

- მაღრაანი ადმინისტრაც შენობის და მერიის ოთახების რეაბილიტაციის ხარჯები-2,9 ათასი ლარით

3. კომისარიატის შენობის რებილიტაციის კაპიტალური ხარჯი შემცირდა 46,5 ათასი ლარით, (ადგილ 9,1 ათასი ლარი და დელეგირებული ტრანსფერი 37,4 ათასი ლარი)

4 . გზების კაპიტალური ხარჯებიდან შემცირდა 262,0 ათასი ლარი. მ.შ. ქისტაურის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის . ხარჯი შემცირდა 200,0 ათასი ლარით, საკობიანოს ,,მაჩუტახევზე,, რკინაბეტონის ხიდის მოწყობის ხარჯი შემცირდა 35,0 ათასი ლარით,ქ.ახმეტაში სავარგულებთან მისასვლელი გზის რეაბილ.ხარჯი შემც-20,0 ათასი ლარით,სხვადასვხა კაპიტ.ხარჯი ეკონომიების ხარჯზე შემცირდა 7,0 ათასი ლარით

5 . სასმელი წყლის სისტემების კაპიტალური ხარჯები შემცირდა 164,7 ათასი ლარით.

მშ. ყვარელწყალში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაც. ხარჯი შემცირდა 70,0 ათასი ლარით,სოფელ ზემო ხოდაშნის ჭაბურღილის მოწყობის ხარჯი შემცირდა 80,0 ათასი ლარით,არგოხის,საკობიანოს და ყვარელწყლის ჭაბურღილების და ომალოს წყალსადენის ეკონომიებიდან შემცირდა 14,7 ათასი ლარი

6 . ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები შემცირდა 60,1 ათასი ლარით.მ.შ. დონორებისგან დაფინანსებული პროექტებისთვის თანადაფინანსების თანხა შემცირდა 50,0 ათასი ლარით,ბ.ჩოლოყაშვილის ეკლესიასთან ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯის თანადაფინანსება

შემცირდა 10,1 ათასი ლარით,

7 . სანიაღვრე არხების მოწყობის ხარჯები შემცირდა 57,5 ათასი ლარით.მშ.ბაბანეურის რკინა ბეტონის არხის მოწყობის ხარჯი შემცირდა 7,0 ათასი ლარით,სოფელ ახშანში რკინა ბეტონის არხის მოწყობის ხარჯი შემცირდა 50,0 ათასი ლარით,საპროექტო სახარჯათღრიცხვო დოკუმნტ შედგენის ხარჯი -0,5 ათასილარით

8. ნაპირასამაგრი ნაგებობების მოწყობის კაპიტალური ხარჯი შემცირდა 14,5 ათასი ლარით.მ.შ. სოფელ ომალოში მდ ალაზანძე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის კაპიტ ხარჯი შემც-11,0 ათასი ლარით, მდ ილტოზე ნაპირსამაგრი ნაგებ.მოწყ ხარჯი- 2,5 ათ ლარით ,სხვადასხვა კაპიტ ეკონომიებიდან 1,0 ათასი ლარი.

8 . სპეცტექნიკის შეძენის კაპიტალური ხარჯის ოდენოვა შემცირდა 25,0 ათასი ლარით

9 მერიიდა საბავშვო ბაღების კაპიტალური ხარჯები შემცირდა 17,7 ათასი ლარით. ეკონომიებიდან .

10 . სპორტული მოედნების სარეაბილიტაც კაპიტ ხარჯები შემცირდა 60,5 ათასი ლარით.მშ. სოფელ ზემო ალვანის მინი სპორტული მოედნის სარებილიტაციო ხარჯი შემცირდა 60,0 ათასი ლარით,კუწახტის სტადიონის ეკონომიიდან 0,5 ათასი ლარი.

11 . მატნის კულტსახლის კაპიტალური ხარჯის ეკონომიიდან შემცირდა 3,7 ათასი ლარი.

12 მერიის სპორტღონისძიებების საქონელი და მომსახურება შემცირდა 3,9 ათასი ლარით(გადატანილი იქნა სუბსიდიაში)

13. სარეზერვო ფონდის ხარჯების ოდენობა (საქონელი და მოსახურება)შემცირდა 40,0 ათასი ლარით

სულ კლება 832,3 ათასი ლარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო - 10 თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 21 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 777 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1.დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივლისის №20 განკარგულებით საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებული, **ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 777კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის** (ს/კ 50.04.42.086):

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - **39500** (ოცდაცხრამეტიათას ხუთასი) ლარის

ოდენობით.

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ის - 11850 (თერთმეტიათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის - 3950 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 10- თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური, შ.ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 20 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 777 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა თინათინ კუდიანაშვილმა ერთნაირად გააცნო საკითხები.

მოისმინეს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 17572კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.378 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 8987კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.376 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტები:

პირველი საკითხი:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 17572კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.12.38.378) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

   ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -1116.00 (ერთიათასასთექვსმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 20 (ოცი) წელი.

მეორე საკითხი:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 8987კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.12.38.376) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

   ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -571.00 (ხუთასსამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 20 (ოცი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხების მიღებას.

სხდომას ესწრება 27 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 1 - შ.ტერტერაშვილი.
მონაწილეობა არ მიიღო 9- თ.მოზაიძე, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, გ.შორთიშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, კ.მუხაური.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 21 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 17572კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.378 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 22 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია 8987კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.38.376 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13:15 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი